გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

განკარგულება № 185

2024 წლის 22 ნოემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტში 2025 წელს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების თაობაზე

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 06 ივნისის N249 დადგენილების „მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ მიხედვით, მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდის დაფინანსებით, გორის მუნიციპალიტეტის მიერ იგეგმება ინფრასტრუქტურული პროექტები.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული, საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან, გორის მუნიციპალიტეტში 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტები, თანდართული დანართი N1 (1 ფურცლად) შესაბამისად.

2. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ. გორი, ს.ჯორბენაძის ქ. #30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე

საპროექტო წინადადება

N	საპროექტო წინადადების დასახელება	შენიშვნა
1	2	3
1	სოფელ მერეთში შიდა გზის რეაბილიტაცია	
2	სოფელ კოშკაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია	
3	სოფელ ფლავში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	
4	სოფელ ფლავისმანში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია	

გორის მუნიციპალიტეტის მერის

მოვალეობის შემსრულებელი

სიმონ გულედანი